ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრეცედენტული სამართალი

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (CJEU) *2025 წლის 26 ივნისი სასამართლოს გადაწყვეტილება (მეხუთე პალატა);In Joined Cases C-555/23 and C-556/23, Makeleio EPE, ECLI:EU:C:2025:484.*

მოკლე მიმოხილვა:

მოცემულ საქმეში ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ დაადგინა, რომ ადამიანის ღირსების პატივისცემა და მისი შელახვის შემცველი შინაარსის მაუწყებლობის აკრძალვა დირექტივის 2010/13 მე-6(1) მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებაა. შესაბამისად, ეროვნული კანონმდებლობა, რომელიც მსგავს ვალდებულებას ავრცელებს მხოლოდ გარკვეულ მედიამომსახურების მიმწოდებლებზე და გამორიცხავს იმ სუბიექტებს, რომლებიც თავიანთ შინაარსს მხოლოდ ინტერნეტის საშუალებით ავრცელებენ, ეწინააღმდეგება აღნიშნულ დირექტივას. ამიტომ, სასამართლომ დაასკვნა, რომ წევრი სახელმწიფოები ვალდებულნი არიან ერთიანად, ყველა მედიამომსახურების მიმწოდებლის მიმართ, უზრუნველყონ ადამიანის ღირსების დაცვის მოთხოვნის შესრულება.

გადაწყვეტილება ეხება აუდიოვიზუალური მედიამომსახურებების შესახებ დირექტივის 2010/13/EU მე-6(1) მუხლის ინტერპრეტაციას, რომელიც ადგენს წევრი სახელმწიფოების ვალდებულებას უზრუნველყონ, რომ მათ იურისდიქციაში მოქმედი მედიამომსახურების მიმწოდებლების მიერ შეთავაზებული შინაარსი არ შეიცავდეს ძალადობის ან სიძულვილის წაქეზებას, ასევე არ ლახავდეს ადამიანის ღირსებას. დავის საგანი იყო ეროვნული რეგულაცია, რომელიც ავალდებულებდა მედიამომსახურების მიმწოდებლებს პატივი სცენ ადამიანის ღირსებას, თუმცა, გამონაკლისს აკეთებდა იმ სუბიექტებზე, რომლებიც თავიანთ შინაარსს მხოლოდ ინტერნეტის საშუალებით ავრცელებდნენ.

მნიშვნელოვანი ამონარიდი გადაწყვეტილებიდან:

„ […] 66 ამასთან დაკავშირებით, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ დირექტივის 2010/13 მე-6(1) მუხლი, რომელიც წარმოადგენს ამ დირექტივის III თავში მოცემული აუდიოვიზუალური მედიამომსახურების მიმართ მოქმედ ერთ-ერთ დებულებას, წევრ სახელმწიფოებს ავალდებულებს, შესაბამისი საშუალებებით უზრუნველყონ, რომ მათი იურისდიქციის ქვეშ მყოფი მედიამომსახურების მიმწოდებლების მიერ მიწოდებული აუდიოვიზუალური მედიამომსახურება არ შეიცავდეს ძალადობის ან სიძულვილის წაქეზებას, რომელიც მიმართულია პირთა ჯგუფის ან პირის წინააღმდეგ ქარტიის 21-ე მუხლში მითითებული რომელიმე ნიშნით, ასევე არ შეიცავდეს ნებისმიერ საჯარო პროვოკაციულ განცხადებას ტერორისტული დანაშაულის ჩადენის შესახებ, „წევრი სახელმწიფოების ვალდებულების დაურღვევლად, პატივი სცენ და დაიცვან ადამიანის ღირსება“.

„67 ამ უკანასკნელი ფრაზით, ევროკავშირის საკანონმდებლო ორგანომ წევრ სახელმწიფოებს დააკისრა ვალდებულება, არა მხოლოდ პატივი სცენ, არამედ დაიცვან ადამიანის ღირსება დირექტივის 2010/13 მუხლის მე-6(1) პუნქტის აღსრულებისას. აღნიშნული ვალდებულება, კერძოდ, გულისხმობს იმას, რომ, როგორც ეს მთლიანი დებულების შინაარსიდან ნათლად იკვეთება, სახელმწიფოებს ეკისრებათ ვალდებულება მიიღონ აუცილებელი ზომები, რათა უზრუნველყონ, რომ მათი იურისდიქციის ქვეშ

მოქმედი მიმწოდებლების მიერ შეთავაზებული აუდიოვიზუალური მედიამომსახურებების შინაარსი არ აზიანებდეს ადამიანის ღირსების ფასეულობას“.

[...]

„73 შედეგად, დირექტივის 2010/13 მე-6(1) მუხლის სიტყვასიტყვითი, კონტექსტუალური და ტელეოლოგიური განმარტებიდან ირკვევა, რომ ადამიანის ღირსების ფასეულობის პატივისცემის ვალდებულება და ამ ფასეულობის დამაზიანებელი შინაარსის მაუწყებლობის აკრძალვა ამ დებულებით არის გათვალისწინებული და ამიტომ, ამ დირექტივის მოქმედების სფეროში ხვდება.

[…]

„82 აქედან გამომდინარეობს, რომ ეროვნული კანონმდებლობა, რომელიც მხოლოდ გარკვეულ მედიამომსახურების მიმწოდებლებს ავალდებულებს პატივი სცენ ადამიანის ღირსების ფასეულობას და თავი შეიკავონ ამ ფასეულობის დამაზიანებელი შინაარსის მაუწყებლობისაგან, ეწინააღმდეგება დირექტივის 2010/13 მე-6(1) მუხლს“.

„83 ყველა ზემოაღნიშნული მოსაზრების გათვალისწინებით, [...] დირექტივის 2010/13 მე-6(1) მუხლი უნდა განიმარტოს ისე, რომ არ უნდა იქნეს გამოყენებული ისეთი ეროვნული კანონმდებლობა, რომელიც, მოსალოდნელი სასჯელის გამო, მოითხოვს, რომ მედიამომსახურების ყველა მიმწოდებელმა, იმ მიმწოდებლების გარდა, რომლებიც თავიანთი შინაარსის მაუწყებლობას ინტერნეტის საშუალებით ახორციელებენ, პატივი სცეს ადამიანის ღირსების ფასეულობას და თავი შეიკავოს ამ ფასეულობის დამაზიანებელი შინაარსის მაუწყებლობისაგან“.

ეროვნული კანონმდებლობის ნორმის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების საფუძველი	საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების XXXIII დანართი
ევროკავშირის სამართლებრივი აქტი, რომელთანაც მოხდა ეროვნული ნორმის დაახლოება	ევროპარლამენტისა და საბჭოს 2010 წლის 10 მარტის დირექტივა 2010/13/EU „აუდიოვიზუალური მედიამომსახურებების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით წევრი სახელმწიფოების კანონებით, რეგულაციებით ან ადმინისტრაციული აქტებით გათვალისწინებული გარკვეული დებულებების კოორდინაციის შესახებ“ (აუდიოვიზუალური მედიამომსახურებების დირექტივა)
ევროკავშირის დებულება	დირექტივის 2010/13/EU მე-6(1) მუხლი
ეროვნული ნორმა, რომლის დაახლოება ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან უკვე მოხდა	მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის 55[2] მუხლი *(სარეგისტრაციო კოდი: 450.140.000.05.001.001.632; 12/06/2025 კონსოლიდირებული ვერსია)*
საკვანძო ტერმინი	**ადამიანის ღირსების პატივისცემისა და დაცვის ვალდებულება (სიძულვილის ენის აკრძალვა)**

CJEU-ს პრეცედენტული სამართალი	*2025 წლის 26 ივნისის სასამართლოს გადაწყვეტილება (მეხუთე პალატა);In Joined Cases C-555/23 and C-556/23, Makeleio EPE,ECLI:EU:C:2025:484.*

ინფორმაცია დამუშავებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ევროკავშირის სამართლის დეპარტამენტის მიერ, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილებათა ანალიზის საფუძველზე.

ანალიზი განკუთვნილია მხოლოდ საინფორმაციო და საგანმანათლებლო მიზნებისთვის და არ ასახავს რომელიმე ორგანიზაციის, დაწესებულების ან სუბიექტის შეხედულებებს. ანალიზის სიზუსტე, სისრულე და გამოყენებადობა უნდა გადამოწმდეს შესაბამის იურიდიულ პროფესიონალებთან და არ უნდა ჩაითვალოს იურიდიულ რჩევად.